

832
1978



საქართველოს სახ. სოც.-დმ. პარტიის საზღვარ-გარეთობ გიურისი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

ქვები დროშა

"NOTRE DRAPEAU"

დაასვებულია ნომ შორის 2004.

№ 90

შონარდი:

თებერვალი	6 ქორდანია.
ნ. უორდანიას გარდაცვალების 25 წლისთავი კ. ინასარიძე.	
თებერვალი და ქართული პოეზია მინდია ლაშაური.	
მცირე შენიშვნები დიდ საკითხზე..	ა. ბაჟრიძე
რა გამოიცვალა	
დიქტატურის 60 წელი	
სახაროვის საერთოშორისო მოხსენება	გ. სინაურიძე.
სოც. დემ. პარტიაში	
თვითგამოცემა	
„იმედი და რწმენა“ — რეცენზია	ეგრისელი.
მოძრაობა პოლონეთში	პოლონელი.
ქართული ეკლესიის დღეობა პარიზში	

თ ე ბ ე რ ა ვ ა ლ ი

გადის დრო, იცელება უაში, არ იცელება ქვეყნის სატ-
კიკორი, არ ნელდება მისი ტანჯვა მრავალი.

რა აღგვითქვეს, რა აგვისრულეს!

აღგვითქვეს კეოლდეობა, — მოგვიტანეს ტანჯვა-
ცაება; აღგვითქვეს ძმობა, ერთობა, მოგვიტანეს შური და
შტრობა; დაგვპირდენ ბედნიერება, — თავს დაგვატებეს
უბედურება.

დავკარგეთ თავის თავის ბატონობა, მარა მივიღეთ თა-
ვისთავის შეგნება; მოგვკლეს მარა არ მოვკვდით; დაგვა-
ძინეს, მარა არ გვძინავს; ერმა მონახა თავის თავი და უძ-
ლეველი შეიქნა! ჩვენ გვსურს სიცოცხლე და ვიცოცხლებთ!
ჩვენ გვსურს თავისთავი ჩვენვე გვეკუთვნოდეს და გვეკუთ-
ვნება!

ხალხი თავს იცავს ფეხდაფეხ, ყოველ წუთში, ყოველ
საათში განუწყვეტლივ, შეუჩერებლათ.

„გადაგვიხდია ბრძოლა მრავალი, ტანჯულმა სულმა
არ იცის დალლა“. ქართველი ერი არ დაილლება. მისდევს
უამს უამს, თაობა თაობას; იცელება მდგომარეობა, არ იც-
ვლება მისი ბუნება, არ სუსტდება მისი სასიცოცხლო ძარ-
ლვი, მისი აღფრთვობანება. ის თავს იცავს ახლაც ისე, რო-
გორც ათასი წლის წინეთ. — რკინა შესცვალა რწმენამ,
შტერი უძლურია მხენ გულის და მაგარი ნების წინაშე!

ხალხი იღუპება როცა მისი სული, მისი მორალი ტყდე-
ბა. მაშინ ის ბრძოთ იქცევა, სარეკ ჯოგს ემსგავსება. ქარ-
თლის თესლი ამ გზით არ მოიმართება. ვის ძალუძს მოქ-
ლას მისი სურვილი, მისი იდეალი, მისი სიყვარული კეთი-
ლის, და სიძულვილი მოროტების!

ვერაფერმა შეარყია მისი მორალი, მისი სული და გული.

უქმად არ ჩაიარა ეს განწირული სულისკვეთება...

6. უორდანია.

(ამოღებულია 1927 წ. „თავ. საქართველო“, ოებერვალი.)

ჩვენი ასოთამწყობის ავადმყოფობის გამო, ეს ნომერი დაგ-
ვიანებული გამოდის.

ნოე შორდანიას დაბადების 110,

და გარდაცვალების 25 წლისთავი

აღნენიშნავთ რა ნოე ქორდანიას, დამოუკიდებელი სა-
 ქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების 110 წლის
 და გარდაცვალების 25 წლისთავს, ჯერ გესურს საქართ-
 ველოს ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეე-
 ბის აზრი გაგაცნოთ ნოე ქორდანიას შესახებ:

დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო მინისტრმა —
 ევგენი გეგეჭერმა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის
 განმავლობაში იყო. რომ იტყვიან ხოლმე, ნოე ქორდანიას
 „მარჯვენა ხელი“, დაახასიათა რა ნ. ქორდანიას პიროვ-
 ნება, სახვათა შორის, თქვა: ნოე ქორდანია ჩვენი
 ხალხისათვის იგივეა პოლიტიკაში, რაც აკაკი წერეთე-
 ლი პოეზიაში; ორივე ხალხოსნური, ადვილად გასავები,
 ორივე, მისი მესაიდუმლე და ორივე საყვარელი“.

ჩვენმა დიდმა მოაზროვნებ და მწერალმა — გრიგოლ
 რობაქიძემ, — ნოე ქორდანიაზე, სხვათა შორის, სთქვა:
 „არ ვიცი ლოცულობდა თუ არა ნოე ქორდანია, მაგრამ
 ის კი ვიცი, რომ საქართველო ნოე ქორდანიაზე ლოცუ-
 ლობს“. (გრ. რობაქიძე. „ბედი ქართლისა“, პარიზი, ნომე-
 რი 14, 1953 წელი).

ქართველი ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე,
 პროფ. მიხეილ წერეთელი ასე აფასებს ნოე ქორდანიას:
 „დღეს ნოე ქორდანია მართლაც მთელი ერის მეთაური
 გახდა. 1917 წელს, ნოემბრის დღეებში, ის ავიდა იმ სიმაღ-
 ლეზე, რომლებზედაც საქართველოში არავინ ასულა ჩვე-
 ნი თაობის მახსოვრობაში. ეს მოხდა მაშინ, როცა ნოე
 ქორდანიამ ეროვნულ ყრილობაზე განაცხადა, რომ ქარ-
 თველი ერის სხეული განმთელდა და დაიწერა ახალი ეტ-
 რატი თავისუფლებისაო...“

არქიმანდრიტი რაფელ ინგილო კი ასე ახასიათებს ნოე
 ქორდანიას პირვენებას: „ნოე ქორდანიას პიროვნების გა-
 რეშე, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება შე-
 უძლებლი იქნებოდა“.

მაგრამ არა მარტო საქართველოს პოლიტიკური და

საზოგადო მოღვაწეები დიდათ აფასებდნენ ნოე უორდანისა მოღვაწეობას საქართველოს ისტორიაში მე-19-ტე — შე-20-ცე საუკუნეების მიჯნაზე, არამედ ჩვენი მეზობელი ერების გამოჩენილი პირებიც და თვით ევროპიელებიც კი. აი, მაგალითად, როგორ აფასებს ნოე უორდანისა პიროვნებასა და მოღვაწეობას შვეიცარიელი პროფესიონალი ედგარ მილტო თავის მისალოც წერილში, რომელიც მან უენევიდან პარიზში მისწერა ნოე უორდანისა, მისი დაბადების 80 წლისთვაზე, 1948 წლის 13 იანვარს.

„ჩემო ძვირფასო დიდო უორდანია!
 თქვენი იუბილეს ამ წუთებში, მე მოგმართავთ თქვენ ჩემი ძმური სურვილებით. თქვენი ბრწყინვალე და შუქ-მფენი ცხოველმყოფელობა ადასტურებს საკვირველი ქართველი ხალხის მთელი სიცოცხლის ძლიერების ურყევ ძალას. გისურვებთ, რომ თქვენ გქონებოდეთ მომავალი სიცოცხლე ხანგრძლივი, თქვენ — აღმაშენებელო! დიდო აღმაშენებელო! კაცობრიობა, იმ დიდ კრიზისში, რასაც ის განიცდის, საჭიროებს აღმაშენებელს. ყველა სურვილი, რომელიც ჩემი გულის სილრმეში თქვენთვის იქმნება, არის თქვენი ქვეყნისათვის, რომელიც ცივილიზაციის ერთი ლამპართავანია და, ამავე დროს არის კაცობრიობის საზოგადოებისაც.“

ქართველთა და უცხოელთა ამგვარი გამონათქვამების შოებანა ნ. უორდანისა პიროვნებაზე შეიძლება მოყვანილ იქნეს მრავალი, მაგრამ ვფიქრობ, აღნიშნულიც საქართველოსა იმისათვის რომ ხაზი გაესვას ნოე უორდანისა უდიდეს დამსახურებას საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე მეცხრამეტი - მეოცე საუკუნის მიჯნაზე, რომლის გვირვენია 1918 წლის 26 მაისის დღე, როცა გამოცხადებული იქნა საქართველოს დემოკრატიული რესტუდლიკის დამოუკიდებლობა და, 117 წლის უცხოთა ბატონობის შემდეგ, საქართველო ისევ გახდა მსოფლიოს ერთა ოჯახის თავისუფალი, სუვერენული წევრი.

ამგვარად, ნოე უორდანისა პიროვნება განუყრელადაა ჩაქსვილი საქართველოს „პატარა ოქროს ხანის“ 1918-21 წლების დამოუკიდებლობის პერიოდთან, რის მოსამზადებელი მუშაობა ისევ ნოე უორდანისა მოღვაწეობასა

და პიროვნებასთანაა დაკავშირებული, რომელთა ფესვები
 მე - 19 საუკუნის პერიოდამდეა გადგმული.

გასულ საუკუნეში ქართველი ხალხი, რომელიც თავისი
 მრწამსით ევროპის ბედ - ილბალს, უძველეს დროიდან
 დაუკავშირდა, დაადგა ევროპიულ გარდაუვალ გზას:
 შემოჭრა კაპიტალი ქართველი ერის ცხოვრებაში. შეი-
 რყა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულ-
 ტურული ცხოვრება! ხალხის წინაშე წამოიჭრა ახალი,
 „ქართველის ცხოვრებაში“ ჯერ არ ნახული პრობლემები,
 რომლებიც ევროპაში ცხოვრების ასპარეზზე ჯერ კიდევ
 რამოცდნიმე საუკუნით აღდე წამოიჭრენ. ამ ახალი პრო-
 ბლემების მოგვარება - გადაჭრა შესაძლებელი იყო მხო-
 ლოდ მათზე აღმოცენებული ახალი „ევროპიული მსოფლ-
 მხედველობით“. საჭიროებას წარმოადგენდა ევროპის ამ
 ახალი გზის, ინდუსტრიალიზაციის მეცნიერული შესწა-
 ვლა და ამ სტიქუიური მოვლენის უარყოფითი შხარები-
 საგან ქართველი ხალხის დაცვა; და ეს უნდა გადაებარე-
 ბია ეს საპატიო და საპასუხისმგებლო როლი საქართვე-
 ლოში თუ არა საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის
 მოწინავე ნაწილის, რომლის მამამთავარი და სულის ჩამ-
 დგმელი, დროთა განმავლობაში, გახდა ნოე ჟორდანა!

გამოჭედა რა თავისი მსოფლმხედველობა ევროპიულ
 იდეალთა ჭიდილში, ნოე ჟორდანიამ პირველმა ალლო
 აულო ქართველი მშრომელი ხალხის გარდაუვალ ინტე-
 რესებს და მთელმა ქართველმა ხალხმა ნოე ჟორდანიას ეს
 იდეა თავის მეობად აქცია, რომლის უკვდავი ბაირალი
 1918 წლის 26 მაისია.

ნოე ჟორდანიას ამ ეროვნული, და მას ზევით საკაცობ-
 რიო იდეის ცენტრში იდგა ადამიანი და ერი: „მთელი ჩე-
 მი უურადლება — ამბობს იგი — მიქცეულია ადამიანისა-
 კენ, ადამიანობისაკენ; ჩემი სული ზასზე გადამბულია
 უჩემდ, ჩემი ნებისყოფის გარეშე, ფატალურად; ვარ
 მოძწყვდეული ამ რკალში, გამოუსვლელად“. და ამიტომ
 წერს ნოე ჟორდანია: „ვრჩები ადამიანთა შორის და ადა-
 მიანობაში, ძაგრამ გავურბი ჭუჭყიანი წყალით ტანის ბა-
 ნას. ეს კი არ არის ადვილი, მით უმეტეს ისეთ დაქანებულ
 ხანაში, რომელშიდაც დღეს კაცობრიობა იმყოფება“. „ყო-

ვეღ ჭურჭლიდან არ დაილევა წყალი; წმინდა წყალი, წმინდა ჭურჭელი საძებარია“, და ეს „წმინდა ჭურჭელი“ ვინ უნდა მოძებნოს თუ არა იგივე ადამიანმა, რომლის უქმნაში — ნოეს უორდანიას აზრით — „ბუნებას დიდი ძარცხი მოუვიდა; არა იმით რომ ის გააჩინა, არამედ იმით რომ, ეს ათვისი ნაყოფი ვერ დაიმორჩილა“. ერთად ერთი, ადამიანია რომელმაც იმწყვიტა და მის მიერ ქვეყნის არევ-დარევას საზღვარი არა აქვს!

ვინაიდან ბუნებამ ვერ დაიმორჩილა ადამიანი, ვერ გახდა მისი პატრონი, ეს როლი უნდა გადაიბაროს; ვიომებ სხვამ — საზოგადოებამ. მაგრამ საზოგადოებრივი ინტერესები ჩაყლაპა პირად, ეგოისტურმა ინტერესებმა; საერთო, საყოველთაო მისწრაფებად გახდა სხვისი ოფლით ხელის მოთბობა. ადამიანი ახრჩობს ადამიანს მისავე სისხლში, რომ თავისი ეგოისტური სურვილები დაიკმაყოფილოს. ადამიანი ადამიანისათვის გახდა ჯოჯოხეთი; და ეს „მაღლა აწეული“ ადამიანი დარწმუნებულია იმაში, რომ ის ზეკაცია, რომ ის აჩეულია, ბუნების გვირგვინია; გაპურებს მაღლიდან მშრომელ ხალხს და ახრჩობს თავის აღვირ ახსნილ სურვილებს გამოგონებულ მოთხოვნილებათა მორევში. აი, რად იქცა თანამედროვე ადამიანი, რომელიც თავის ისტორიულ მოძმეს რომის ჩამავალი მზის ეპოქაში პოულობს.

ნოე უორდანია გვისწავლის, რომ ამგვარი წარყვნილი ხანის გადალახვისათვის არსებობს მხოლოდ ერთი გზა: ადამიანმა უნდა შეიგნოს საზოგადოების გარდაუვალი ინტერესები, რომლებიც პიროვნების თავისუფლებას დამიანურ კალაპოუში ჩააყენებს. „ჩემი ცხოვრება მიყვარდეს ამბობს ნოე უორდანია - ჩემი მეზობლის მძულდეს, ვერაფერი საქებია“. ამის გარდალახვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი ხელს აიღებს სხვის ბატონობაზე; ამ იდეალის განხორციელებისათვის კი არსებოს „მხოლოდ ერთი წამალი, ერთი ლოზუნები: იბატონე თავისთავეზე.“

თავის თავზე ბატონობა, რომელიც მხოლოდ იშვიათი ადამიანების იშვიათი ხვედრია, ნიშნავს: „თავისი ვნების, სურვილებისა და მოთხოვნილებებისათვის.... აღვირის ადებას და მიზანშეწონილად ხელმძღვანელობას. ეს არის

გამარჯვება ნებისყოფისა და გონიერებისა“. თუ აღამიანი ამას შესძლებს, ის იქნება თავის თავის პატრონი; ის არ დაუპირისპირდება სხვის და არ შეეცდება მის დამორჩილებას. აღამიანის ფასი და პატივისცემა მასში გაიზრდება და ყველა არაადამიანური აილაგმება, მასში გაბატონდება ჰუმანისტური სული. რა თქმა უნდა, — დასძენს ნ. ეორდანია: „ეს მოითხოვს ღრმა სოციალურ კალაპოტს, ახალ საადამიანო შენობას, რომელიც პიროვნებას ჩააყენებს ისეთ ძისთვის სასარგებლო საცხოვრებელ პირობებში, რომ მაკ სრულიად არ დასჭირდება სხვაზე ბატონობა“; ამ დროს აღამიანი გახდება თავისუფალი, ინდივიდუმი და მართლაც გვირგვინი ბუნების ქმნილებათა შორის.

და აი ეორდანიასეული ეს ჭეშმარიტად ჰუმანიური, დიადი იდეა შეგვიძლია ჩვენ გავაურცელოთ აღამიანთა კრებულზედაც, გვარზე, ტომზე და აღამიანთა უმაღლეს კრებულზე — ერზე; ერს უყვარდეს მხოლოდ მისი ეროვნული ცხოვრება, ხოლო მეზობელი ერის ცხოვრება სძულდეს ვერაფერი საქებია. ამის გადალახვა მას შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა ხელს აიღებს სხვის ბატონობაზე. ამ იდეალის განხორციელებასათვის კი არსებობს მხოლოდ ერთი წამალი, ერთი ლოზუნგი: იბატონე თავისთავზე“.

ვინაიდან ერი, რომელიც ბატონობს სხვა ერზე, თვითონაც არ არის თავისუფალი, აი ღვთიური საგანძური, ხევდრი. თავის თავზე ბატონობა კი, სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგიერთი ერის იშვიათი ხელგრია, ვინაიდან ყოველი ე.წ. „დიდი ერი“ ვერ ახერხებს თავისი ეროვნული, უსაზღვრო სურვილებისათვის აღვირის ამოდებას და მიზანშეწონილად მოქმედებას. მაგრამ თუ ერი იბატონებს მხოლოდ თავის თავზე, ეს, უდაოა, არის გამარჯვება ეროვნული ნებისყოფისა და გონიერებისა. თუ ერი ამას შესძლებს, ის იქნება თავისი თავის ჭეშმარიტი პატრონი; ის არ დაუპირისპირდება სხვა ერს და არ შეეცდება მის დამორჩილებას; სხვა ერისადმი პატივისცემა მასში გაიზრდება და სხვა ერისადმი შეუწყნარებლობა აილაგმება, მასში გაბატონდება ნამდვილი ჰუმანიური სულისკვეთება. ამ დროს ერი გახდება თავის უფალი, და მართლაც გვირგვინი აღამიანთა ეროვნულ კრებულთა შორის მოელს მსოფლიოში.

ერს, ერებს, ე, წ. „დიდი ერების“ ჩათვლით, ეროვნული, და პიროვნული თავისუფლების განხორციელება შეუძლიათ, — ნოე ეორდანიას აზრით, მხოლოდ დემოკრატიის პირობებში, ე. ი. ხალხის სუვერონობის პირობებში. თვით დემოკრატიის ცნებას ნოე ეორდანია ასე განსაზღვრავს:

„დემოკრატიის ძირთადი პრინციპია ადამიანი და მისი სუვერენობა, ის სუვერენია ინდივიდუალურად თავის კერძო, საოჯახო საქმეებში, სუვერენია კოლექტიურად, სხვასთან ერთად, საერთო, საზოგადო საქმეებში“.

„დემოკრატიის ორგანო — დასძენს შემდეგ ნოე ეორდანია — მოქალაქეთა უმრავლესობა, აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მოქმედი, მჭრელი, მებრძოლი“.

ამგვარად, ნოე ეორდანია გვასწავლის, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი წესწყობილების უმაღლესი, კველაზე უფრო ჰუმანური ფორმაა დემოკრატია, რომელიც თავის თავში აქციებს ერისა და პიროვნების თავისუფლებას. და სწორედ ამ ჰუმანიურ იდეებს, ჩაუყარა თეორიული საფუძველი ნოე ეორდანიამ, და პრაქტიკულადაც განახორციელა საქართველოში 1918—1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, და ამიტომაა, რომ ნოე ეორდანიას სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი საქართველოს უახლოეს ისტორიაში, როგორც პიროვნებისა, რომელიც იყო არქიტეკტორ-მშენებელი საქართველოს „მცირე ოქროს ხანისა“, და რა გასაკვირია, რომ ჩვენი ერის გამოჩენილი პირები მას „დიდ ნოეს“, „ნოე აღმაშენებელს“, თუ ჩვენი ხალხის „მესაიდუმლეს“ უწოდებენ.

და დღესაც, ნ. ეორდანიას დაბადების 110, და მისი გარდაცვალების 25 წლისთავზე, მისი მოძღვრება ისევე აქტუალურია, როგორც იყო მაშინ, როცა ის მოღვაწეობდა, ვინაიდან „მესამე დასის“ სამოქმედო პროგრამის ძირითადი დებულებანი, რომელიც ეორდანიამ ჩამოაყალიბა — ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის კეთილდღეობისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითული პიროვნებისა“, — უცხო ბატონობის შედეგად, საქართველოში დღესაც არ არის განხორციელებული; ამდენად, ნოე ეორდანიას მოძღვრება მარადიულ ცხოველ-მყოფელობას ინარჩუნებს, ვინაიდან ის ქართველი ერის

გულიდან,, „ძირა ფენებიდანაა“ აღმოცენებული და ამი-
 ტომ რჩება ჩვენს სამოქმედო პროგრამად დღესაც, ატო-
 მიურ და გამომთვლელი მანქანების ეპოქაში.

თებერვალი და ქართული პოეზია

1921 წ. 25 თებერვალს შეწყდა საქართველოს დამოუ-
 კიდებელი სახელმწიფო ცენტრული ცხოვრება. იგი საბჭო-
 თა რუსეთის ობიტაში მოქადა. ამ ს ა ბ ე დ ი ს წ ე რ თ
 დღიდან დაიწყო საქართველოში ბოლშევიკური „ახალი
 სისტემის“ ანტიეროვნული ექსპერიმენტები. ბოლშევიკუ-
 რი „ახალი სისტემა“ შეეხო ქართული ცხოვრების ყოველი-
 ვე დარგს. დაიწყო ქართული ეროვნული სულის აფორია-
 ჟება. მეტად გაუჭირდათ ჩვენი ქვეყნის დამპყრობელებს
 ჩვენი ეროვნული მეობის სიამაყის — ქართული პოეზიის,
 საერთოდ ქართული მწერლობის გასაბჭოება. ქართული
 ძერერლობა თავიდანვე მტრულად შეხვდა დამოუკიდებელ
 საქართველოს დაპყრობას შითელი არმიის მიერ. ამ ეროვ-
 ნულ ტრაგედიას, ქართული პოეზიის ნიჭიერი პოეტი —
 ლირიკოსი იოსებ გრიშაშვილი შემდეგი სიტყვებით შეხვ-
 და თავის ლექსში:

ჩვენ ისე შევეჩვით,
 ჩვენს საკუთარ ფერსა და ხმას,
 რომ ვერასდროს ვერ გავუძლებთ
 გამარჯვებულ რუსის ჩექმას.

მე დავდიოდი როგორც შამილი,
 მომავლის ბედი კვალ და კვალ მსდევდა
 და ივსებოდა გულში შხამივით,
 ბესიკის ბალში ნაზარდი სევდა.

ზეინაბად გადვიქცევით,
 გულს ჩავიკლავთ ალთემას შმაგურს,
 და უსისხლოდ მტერს არ მივცემთ,
 არც ერთ კუთხეს, არც ერთ აგურს.

თქვენ ამბობდით საქართველომ
 რაც უნდა რომ გაიბრძოლოს,
 ის რუსეთის კომუნისტად
 გადიქცევა მაინც ბოლოს.

ხომ ასრულდა, თქვენ მოხვედით,
 ჩვენ მიგიღეთ ორივ ხელით,
 მაგრამ ხალხი არ შეგარჩენთ,
 სხვის ხიშტით რომ შემოხვედით.

ოსებ გრიშაშვილს, რომელიც მტკიცედ იდგა ქართულ
 კლასიკურ პოეზიის ტრადიციაზე, გულს უკლავდა ერის
 ტკივილით გამოწვეული სევდა, რომელიც პოეტმა შემ-
 დევი სიტყვებით დაიტირა:

სიზმრად ვნახე საქართველო სისხლის ზღვაში ბანაობდა,
 ქართვლის დროშა დაფლეთილი ქარის ფრთხებზე ქანაობდა
 და მეც ვითომ ღრუბლებიდან დავყურებდი იმ წაპირებს,
 სადაც ნაშთი ჩახვერდა მკერდგაპობილ მებრძოლ გმირებს.

დავყურებდი ძველ მონასტრებს, ძველ იკლდამებს წინა-
 სადაც ივერიის სისხლის დროშა ზე აღმართა, [პართა,
 და ეფიქრობდი: ნუთუ ერი ისე დაჭინდა და დაკნინდა,
 რომ სხვას მიაქვს ჩვენი ხალხის სიმაყე, წმიდათწმიდა?]

საბჭოთა პროპაგანდა უსირცხვილოდ აცხადებს, რომ
 კოტე მაყაშვლი საქართველოს გასაბჭოებას, ანუ წწორად
 რომ ეთქვათ, საქართველოს დაპყრობას 1921 წელს, დამ-
 შვიდებით შეხვდათ. თუ როგორ გამოიტირა ჩვენმა ნი-
 ჭიერმა პოეტმა კოტე მაყაშვილმა წითელი არმიის მიერ
 საქართველოს დაპყრობა შემდეგი სიტყვებით გამოხატა:

არც სიცოცხლის, არც სიკვდილის
 ალარა მაქვს ხალისი,
 თებერვალმა დამისუსხა
 სამუდამოდ მაისი.

საბჭოთა პროპაგანდას თუ დაუჯერებთ, თურმე, ნაზი
 ლიირიულის პოეტი ალექსანდრე აბაშელიც გვერდში ამოდ-
 გომია საბჭოთა წესწყობილებას. 1921 წელს, უურნალ
 „ხომალდში“ დაწერილ ლექსში პოეტი ამბობს:

და ერთის ტანჯვის გამომხატველი
 იზრდება გულში ორი მწვერვალი,
 ერთი ნალველის ორი სახელი:
 კრწანისის ველი და თებერვალი.

სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა სრულიად უნიჭო
 დაჯგუფება, ეგრედ წოდებული პროლეტარული მწერლო-
 ბის სახით, რომლებიც სწერდნენ უგემურ ლექსებს, პრო-
 პაგანისტულს, მოკლებულს მხატვრულ სილამაზეს. ამას
 დასტირის ნაზის სტრიქონების პოეტი ალექსანდრე აბაშე-
 ლი და გულდათუთქული, აი რას წერდა, აწ განსუენებულ
 პოეტს ნოე ჩხიკვაძეს:

გაგიკვირდება: ლექს რად არ შველის,
 რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად,
 ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
 მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა.

ეხლა ქუხილი არ ისტამბება,
 ხარი არ ყვირის მაღალ მთებიდან,
 ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა,
 ამონაწერმა გაზეთებიდან.

ეს ხარ-ირემი, რომელზედაც წერს აბაშელი, არის ერთ-
 ერთი ქართული ეროვნული სიმბოლოთაგანი ქართულ
 პოეზიაში. ჩენი დიდი მგოსანი ვაჟა ხმარობდა მას სიმ-
 ბოლოდ. ხოლო ჩენი ქვეყნის დამპყრობელებმა, ამ ხარ-
 ირემს, რომელიც მაღალ მთებიდან ჰყვიროდა თავისუფ-
 ლაბაზე, ლაგამი ამოსდევს და მის ნაცელად პოეზიაში
 გაამეფეს იაფთასიანი სარეკლამო ლექსები.

პოეტი ობოლი მუშა წერდა: „და საფლავის ლოდს ქვეშ
 ტე კვლავაც მეწამება, რომ მიწაზე გაღმოვლენ წარლონის
 შემდეგ ლმერთები“. ხოლო პოეტი ვარლამ რუხაძე ასე
 დასტირის ბორკილებში მყოფ საქართველოს: „ლმერთო,
 ბორკილები კმუნეისა ამყარე“.

ღიდი პოეტი და მწერალი, მხატვრული სიტყვის გაუ-
 შეორებელი ისტატი კონსტანტინე ქამსახურდია უურნალ
 „ილიონში“, ნიკშესადმი მიძღვნილ ლექსში წერდა:

„შენ გვაგრძნობინე სინამდვილე რომ სიზმარია,
 ოჯ რა ძნელია შუაგულ გზაზე შემოღამება“

პოეტი ხარიტონ ვარდოშვილი თავის ლექსში „საუბარი უბედურ ლანდთან“ წერდა:

შემომხვევია გველები იჭვის,
 და სიკვდილივით ჩუმად გჩურჩულებ,
 სიცოცხლე კვდება, სიცოცხლე იწვის,
 სულო ბოროტო, სულო ურჯულო.

ხოლო ტიციან ტაბიძემ წინასწარ იგრძნო თავისი უბედური ბედის მოახლოვება და წინასწარმეტყვულად წარმოსათქვა: — „ჩვენ ახლა სხვა ღრმო წამოგვეწია,
 ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძალლებენ.

ქართული ლექსის ჯადოქარმა, პოეტმა პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა. ეს ნაბიჯი პოეტმა გადადგა ლავრენტი ბერიას ცნობილი სიტყვის შემდეგ, რომელმაც საქართველოს კომპარტიის, ერთერთი პლენუმის დროს განაცხადა: „დროია 45 წლის კაცმა აწი მაინც ჭკუა ისწავლოს“ თუ რა უნდა მოჰყოლოდა ამ „ჭკუის სწავლებას“, წინასწარ იგრძნო პოეტმა, ხალხთა ეროვნულ შემოქმედებისადმი საბჭოურ „მზრუნველობა!“ შეეწირა იგი.

მაინც რა იყო ეს „პროლეტარული მწერლობა“ და „პროლეტულტი“, რომელიც გაბატონდა საქართველოში და სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოიუცხადა ჩვენს ეროვნულ მწერლობას? ეს ორგანიზაცია შეიქმნა საქართველოს დაპყრობის პირველსავე წელს, რომლის იდეოლოგიურ ორგანოს წარმოადგენდა უურნალი „ქურა“. აქ თავი მოიყარეს: სანდრო ეულმა, ნოე ზომლეთელმა, რაედენ კალაძემ, სამსონიძემ, შინაგამიშვილმა, გიგო ხაჩუაშვილმა, შაქრო ნავთლულელმა. შემდეგ ამათ გამოიყო და საკუთარი, უფრო მემარცხენე ფრონტი შექმნა „პროლეტარულმა“ ახალგაზრდობამ, რომელიც დაირაზმა გაზით „პრლემაფის“ გარშემო. მისი სრული სახელი იქნება: „პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი“. ამ მიმართულებას სათავეში ჩაუდგა მეტად მყვირალა ახალგაზრდა პლატონ ქიქოძე.

დაიწყო დაუსრულებელი დისკუსია. ძუშათა სასახლის დიდ დარბაზში, მწერალთა კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა პლატონ ქიქოძემ თავის დეკლარაციაში მოით-

ხოვა ქართველი კლასიკოსების ილიას, აკაკის, და სხვე-
 ბის სანაგვე ყუთში გადაყრა.

შემდეგ, ამ „ყვირალა მიმართულებას“ სათავეში ჩაუდ-
 ვა ბენიტო ბუაჩიძე, რომელსაც ერთმა უპარტიო, ძველმა
 მწერალმა „ლიტერატურული ჩეკა“ დაარქვა. მართლაც:
 ეს გარეწარი პირნათლად ასრულებდა შინახეომის დავა-
 ლებას. ის ამგვარ შეფასებას აძლევდა ამა თუ იმ ქართველ
 მწერალს. მაგალითად: გრიშაშვილის პოეზია არის „ბულ-
 ვარშინა“ თავისი მოტივებით. გალაქტიონ ტაბიძე წარ-
 მოადგენს დეკლასირებულ ინტელიგენციის განწყობილე-
 ბის პოეტს. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება რე-
 აქციონისტია და სავსებით მტრულად არის განწყობილი
 საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ხოლო ობოლი მუ-
 შა, ალექსანდრე აბაშელი, ვარლამ რუხაძე, ხარიტონ ვარ-
 დოშვილი თავიანთი ცრემლებით მისტიკიან „მეგშვი-
 რუ“ საქართველოს. მხერილ ჯავახიშვილი თავისი შე-
 მოქმედებით კულაკური ფსიქოლოგის მწერალია.

ამას წერს ბუაჩიძე იმ დროს, როცა სოფლად მიმდინა-
 რებდა ძალდატანებითი მთლიანი კოლექტივიზაცია, რო-
 მელსაც ეწირებოდა ჩვენი მშრომელი გლეხობის დიდი უმ-
 ცრალესობა. ტიციან ტაბიძე დაკარგული სულის პოეტია,
 ხოლო პაოლო იაშვილი გამოყვანილია „იმპერიალისტად“
 მას უნდოდაო საქართველოს საზღვრების გაფერთოება
 და ტრაპიზონში ქართულ გარნიზონებზე ოცნებობსო.
 გრიგოლ რობაქიძე მიღის ულტრა - მემარჯვენული გზით
 და მისი შემოქმედება მტრულია, და რამდენი ერთი ჩა-
 მოვთვალო ამ გაბოროტებულ ადამიანის ლექსიკონიდან.

ეს „ლიტერატურული ჩეკისტი“ აღფრთოვანებულია
 კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ამ ლორთქიფანიძეთა კე-
 თილშობილი გვარის შემარცხევენელის ლექსით „საბარგო
 ავტომობილი“. ამ ავტომობილით 1924 წელს მიჰყავდათ
 ქართველი განწირული მამულიშვილები დასახურეტად სა-
 ბურთალოზე.

აი რას წერს ეს გარეწარი ბუაჩიძე ამაზე: „ლორთქი-
 ფანიძე იძლევა ჯანსაღ კლასობრივ ფსიქოლოგიას. ის რაც
 საშინელ სევდას მოვერის მოწინააღმდეგებს. ის ძვირფასია
 თვითეული რევოლუციონერისათვისომ“.

კიდევ უფრო შორს მიღის ბენიტო ბუაჩიძის სათაყვანებელი პოეტი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, რომელიც ამბობს: — „ჩვენ, წინაპრებო, ერთმანეთი გადავიცანით,

ჩემთვის ერთია დღეს ერეკლე და მაჰმადხანი“ ზედმეტია კომენტარი, როგორც იტყვიან ხოლმე ასეთ შემთხვევაში.

გასაბჭოვდა ქართული ეროვნული მწერლობა, მთელი მისი შემოქმედებითი არსი დააყენეს „ლენინურ ხალხთა მეგობრობის“, ანუ სწორად რომ ვთქვათ რუსულ ბოლშევიკურ იმპერიალიზმის სამსახურში.

მაგრამ თებერვალი, საბოლოოდ მაინც ვერ დასუსხავს ჩვენს ეროვნულ მწერლობას. ის მარად იცოცხებს, რადგან გვჯერა და გვწამს ქართველი ხალხის სიბრძნე: „კიდევაც დაიხრდებიან, ალგეთს ლექვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან, ჯავრი შესჭამონ მტრისანი“.

მინდია ლაშაური.

მიუნხენი, 1978.

მცირე უანიშვნები დიდ საკითხებზე

ლენინის თეორიის მიხედვით საბჭოთა პოლიტიკას განსახლვრავს ბრძოლა ურომასა და კაპიტალს შორის, და აიამ ბრძოლას მეთაურობის სახელმწიფო, რომელმაც უკვე „მოსპო“ კაპიტალისტური მონობა. ყველა იმ ერებში, რომლებიც იმყოფებიან მის ფარგლებში, ე. ი. საბჭოთა სახელმწიფოში. ამ უკანასკნელის საბოლოო მიზანია მსოფლიოში დამყარება ისეთი წყობილების, რომელიც ემსახურება მუშათა კლასის ინტერესებს; დაამკვიდრებს ზავს, მშვიდობიანობას ამ ქვეყნად.

აი დროშა, რომელიც არ მოუხსნია საბჭოთა დაქტატურას და ყველა მის ნამოქმედარ ავტესიულ შეტევებს, მცირეერთა დაპყრობას ამართლებს ამ დროშის გამარჯვებით; ცდილობს შეიტანოს იგი სხვა ერების შინაურ ცხოვრებაში და გაავრცელოს იქ არა მარტო პოლიტიკური გაელენა, არამედ თავზე მოახვიოს მას თავისი მართველობის,

საბჭოური სისტემა. ამხრივ მისი მიღწევები აშკარაა და თვალხილული. კავკასიის და ბალტიის რესპუბლიკების დაპყრობა, ხმელთაშუა ზღვაში გასვლა, აზია-აფრიკის ქვეყნებში, მცირე მაგრამ ზოგიერთი პოზიციების დაკავება. რაც არა ნაკლები მნიშვნელობისაა აღმ. ევროპაში, საზღვრების დადასტურება, რაც ადგილი პქონდა ჰელ-სინკიში.

რა გზითა და საშუალებებით ფიქრობს მოსკოვი შემ-დგომი პროგრამის განხორციელებას? არმია, — სამხედრო ძლიერება თუ პარტია?

ამ ორის დაპირისპირება სრულიად მცდარია და უნია-დაგო. დღევანდელი ოფიცირობა პირმშო შეილია რაეიშის. ხოლო პატრიოტიზმი, ჰიტლერის დაპყრობითი პოლიტიკის წყალობით, გადაიქცა ერთს დიდ იარაღად საბჭოთა დიქტა-ტურის ხელში, რომელმაც განაპირობა სამხედრო პო-ტერიტორიალი და ამართლებს სამხედრო მრეწველობისათვის განუსაზღვრელ ბიუჯეტს, როგორც მსუბუქ-მკევებავ ინ-დუსტრიის, ისე სასოფლო მეურნეობის ხარჯზე.

ლენინი და სტალინი, რასაკვირველია, წინად ცდილობ-დნენ ოფიცირებისა და ჯარისკაცის შორის მტრობისა და შუღლის ჩემოგდებას. რათა ხელისუფლება დაყრდნობოდა ერთს სოციალურ ფენას. ოცდაათან წლებში, სატალინმა ეს უარყო, და გემოაცხადა: „მორალურ პოლიტიკური ერ-თიანობა საბჭოთა ხალხის; ბლოკი არაპარტიულთა და კო-მუნისტთა შორის, მაგრამ ხელისუფლების შენარჩუნების ერთი შეპყრობილი დიქტატურის ირგვლივ და მისი არ-სებობის საჭიროებისათვის თანდათანობით წარმოიშვა სექ-ტა, პრივილეგიური კლასების შემცვლელი, რამაც საბჭოთა ცხოვრების მსვლელობას მისცა ახალი სოციალური ძრე-ბის ხასიათი.

ხრუშჩევის „რეფორმებს“ არავითარი ცვლილება არ შეუტანია ამ ვითარებაში, პირიქით, პრივილეგიური კლა-სი დაკანონდა, გაძლიერდა უფლებით, გამოაცხადა საკუ-თარი თავი „სოციალიზმის“ პატრონად, მის დამცველად მოწოდებულია უხელმძღვანელოს უფლებაყრილ ხალხს, ნივთიერად შევიწროებულს, რომლის მოვალეობაა სახელ-მწიფო აპარატის, მის მრავალრიცხვან ბიუროკრატიის,

ჯარის შენახვა, მისი უზრუნველყოფა ყოველმხრივ, მაგრამ ამ შესაძლებლობას მოკლებული ხალხი ხვედრია რეპრესიების. აქ ჰუმანიურობას არ შეიძლება აღიღი ჰქონდეს ყოველგვარი პროტესტი, მოთხოვნილება, შებრძოლება, ღალატი იქნებოდა სოციალიზმისა... ხელისუფლებას ნდობა არა აქვს ხალხის, — ის აწარმოებს დაშინების პოლიტიკას, ამით მართლდება შეიარაღებაზე კოლოსალური თანხის გაღება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

საგარეო ფრონტზე, თავის იმპერიალისტური მისწრაფებებისათვის შემუშავებულია რთული გეგმა. აქ ოფიციალური დიპლომატია, მთარგველობს ათასობით ტეხნიკურებს, სავაჭრო ავენტებს, რომლებსაც სპეციალური საპროპაგანდო კურსები აქვთ გავლილი.

მათდა სამწუხაროდ, ყველგან არ მართლდება მათი სტრატეგიული პოლიტიკა. ეგვიპტეში დიდძალი ფული დახარჯა მოსკოვმა. როგორც ვიცით, მისი აგენტები ეწეოდნენ კომუნისტურ პროპაგანდას, ასობით „მრჩევლები“, „ტეხნიკოსები“ გაძევებული იქნენ ეგვიპტიდან, მოსკოვს მჟღარო კავშირი ჰქონდა სომალიასთან. — აქაც მეთოდით პროპაგანდას ეწეოდნენ მოსკოვის ასობით პროპაგანდისტები, — „მრჩევლები“, „ტეხნიკოსები>.

მოხდა შეიარაღებულ კონფლიქტი სომალი—ეთიოპის შორის. უკანასკნელი „სოციალიზმის“ სახელით ხოცავს თავისიანებსაც. მოსკოვი მას იარაღს აყრის, ეტმარება, თითქოს „სოციალიზმის დამყარებაში“. (რასაკვირველია, სომალიამაც გააძევა თავის ტერიტორიიდან ათასი „მრჩეველი“ რუსი).

ასე დამარცხდა მოსკოვის ორმაგი პოლიტიკა ამ კუთხეში; ერთსში პროპაგანდით ფიქრობდა თავის პოლიტიკური გავლენის მოპოებას, მეორეში, იარაღის საშუალებით ფიქრობს თავის „საბჭოურ“ წყობილების დამყარებას.

ეგვიპტესთან ურთიერთობის გაწყვეტით, მოსკოვმა დაპკურვა არაბეთში თავისი გავლენა, რასაკვირველია ამით მოსკოვს იარაღი არ დაუყრია და ყოველგვარი საშუალებით ფიქრობს მდგომარეობის გამოსწორებას. თავისი აქტიურობა ვადაიტანა აფრიკის სხვა ქვეყნებში, რომლის შესახებ, შევეცდებით უურნალის მომავალ ნომერში გავრკვათ...

დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში უდიდეს როლს თამაშობს შორეულ აღმოსავლეთში შექმნილი, თითქოს მიუუჩებული ურთიერთობა, ხოლო დიდ ერთა შორის ასებითად დაძაბული მდგომარეობა.

ორი დიდი, წითელი იმპერიის დამოკიდებულება, გარედან მუდამ გაურკვეველი სჩანს. თუ ის არ მეღავლდება შეიარაღებულ შეტაკებაში, — ორივე ქვეყნის პრესაში, ერთიმეროვს წინააღმდეგ თავდასხმები გრძელდება.

სერიოზულ წყაროებიდან აშენავდება აქტიური დიპლომატური მოქმედება, პოზიციების დასაპყრობად.

გასული წლის გაზაფხულზე ჩინეთმა შესთავაზა იაპონიას ანტიცეცემონიზმის მეგობრული ხელშეკრულება, — ცხადია მიმართულია მოსკოვის წინააღმდეგ, რომელიც მისწრაფვის შორეულ აღმოსავლეთში თავის ჰეგემონიისათვის, და თუ იაპონია ყოყმანობს, — მიზეზია კურილის კუნძულების დაბრუნების სურვილი, რომლებიც მიითვისა საბჭოთა რუსეთმა უკანასკნელი ომის შემდეგ. ეს დაბრკოლება ხელს უშლის დიდად მნიშვნელოვან კავშირის დამყარებას შორეულ აღმოსავლეთში, რომლის შედეგები შექმნიან სერიოზულ მდგომარეობას. როგორც სჩანს, ჩინეთის დიპლომატია თავის ჩვეული ამტანლობით, მოთხოვთ განვარძობს ცდას, იაპონია თავის გავლენის სფეროში მოათავსოს.

ჩინეთის პირველი მინისტრი უცხადებს იაპონელებს:

„მართალია უკანასკნელ ომის შემდეგ, ჩინეთ-საბჭოთა შორის დადებულ იქნა 30 წლით მეგობრული კავშირი, მაგრამ სრულებით დაჰკარგა ეფექტური მნიშვნელობა“. და მართლაც, უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში, იდეოლოგიური დავა, მოსკოვ-პეკინს შორის, რომელიც არსებითად საფარველია ტერიტორიალურ დავის, — სისხლისლერამდე მისული. ჩინეთი სთავაზობს იაპონიას ნავთს პარდება აგრეთვე შეისყიდოს მისგან ყოველგვარი საჭირო ტეხნიკური იარაღები; უხსნის მას ჩინეთის უზარმაზარ ბაზარს, სადაც იაპონიას შეეძლება გამოიტანოს დამზადებული საქონელი გასასყიდლად.

ინდუსტრიალიზაციის განვითარების მიზნით, ჩინეთმა უკვე კარგა ხანია შესცვალა თავისი პოზიცია ამერიკის

მიშართ. უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას ხელს უშლის ტავის საკითხი. ჩინეთი შიშობს მოსკოვი არ მოევლინოს ამ კუნძულს, ამიტომ არ ჩქარობს...

ჩინეთი არ სთვლის ამერიკას თავის მოქმედება ცი წარმოადგენდეს მის შორეულ ამოცანას, მაგრამ დღეს, ჩინეთის მიმღინარე საგარეო პოლიტიკის საზრუნვია, აუცილებლად ამერიკას დაუახლოვდეს და მისგან მოღოს საჭირო დახმარება.

ჩინეთი ცდილობს ევროპის ქვეყნები დაჯეროს მოსკოვის აგრესიულ პოლიტიკაში, მის განზრახეაშია, შეაცვლენონ მათ პოზიცია, რასაც ძნელად თუ შესძლებს...

ალნიშნავია მაინც მნიშვნელოვანი ფაქტები. ევროპის ქრისტიანული ეკონომიურმა კავშირმა მიიღო თავის წრეში ჩინეთი და მისცა მას უპირატესობა ეკონომიურ ურთიერთობაში, მოსკოვს კი უარი უთხრეს. რადგან ის არ სკონბს ბრიუსელის დაწესებულებას.

როგორ გამოიყურება ჩინეთის შინაური მდგმარეობა? საფრანგეთის დღევანდელი იუსტიციის მინისტრმა პიერფიტმა რომელმაც ადგილობრივად შეისწავლა ჩინეთის ეხლანდელი სოციალდ-პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრება, თავის შესანიშნავ ნაწარმოებს ასე დაარქვა: „როცა ჩინეთი შეინძრევა, მსოფლიო შეშფოთდება“-ო. (კან ლა შინ ბუჟერა, ლო მონდ ტრამბლერა)... და აი, ზელა ცდები ჩინეთის დღევანდელ მართველობის იქითკენ არის მიმართული, რათა ამ უზარმაზარ ქვეყანაზ შეძლოს მხოფლიო შენძრება. აღწერილია შინა სახოგა-გადოებრივი ძერები; თუ როგორი მუშაობა სწარმოებს სასოფლო სამეურნეო მეურნეობაში. ამას ადასტურებს ან უკანასკნელად პირველი მინისტრის განცხადება: „ეხლა ჩვენ გვესაჭიროება არა ცარიელი სიტყვები, არამედ უფრო მეტად შრომა; ჩვენ უნდა შევქმნათ დიდი და ძლიერი ჩინეთი“.

ჩინეთის მეორე პასუხისმგებელი პიროვნება გამოდის განცხადებით, (იხ. „ორორი“), სადაც იგი ითვალისწინებს საბჭოთა აგრესიულობას; მოუწოდებს ამერიკას და იაპონიას ნაკლები ხორბლეულობა და ტეხნოლოგია მისცენ რუსეთს, და განაგრძობს: „საბჭოთა რუსეთი ძლიერ სუს-

ტია, ღარიბია ინდუსტრიის და სასოფლო დარგებში, ასეთ პირობებში მისგან ომის გამოცხადება სასიცოდილო იქნება შისთვის".

საგარეო პოლიტიკის ფრონტზე ათასგვარი მარჩიელობა შეიძლება. კერძოდ, ჩინეთი დივერსანტულ პოლიტიკის აწარმოებს. თავს სურვილებს სინამდვილედ აცხადებს. დღევანდელ საბჭოთა სამხედრო უძლურება, არც ისე გამოიყურება როგორც ჩინეთი ვინატავს. სოლუენიტინზე უკეთ ეს არავის დაუსაბუთებია... ამაზე სიტყვას აქვე ვერ გავაგრძელებთ.

სრულიად გამორიცხული არ არის, რომ ორმა წითელმა დიქტატურამ კიდევ დიდხანს უძლენან ერთმა-მეორეს მუქარა და ბრალდებები, დაეჯიბრონ ერთმა-მეორეს „სოციალიზმის“ შენებაში, და შემდეგ მოთანხმდნენ...

ამიტომაც ერებს, რომლებიც მიისწრაფვიან ეროვნულ თავისუფლების აღსაღენებად სჭირდებათ სიფხიზლე და სწორი ინფორმაცია, და ზემოხსენებული ცნობებიც მხოლოდ ამას ემსახურება.

ა. ბადრიძე.

ჩ ა გ ა მ თ ი ც ა ლ ა

წლები დასჭირდა ბრეუნევს მიეცა საბჭოთა სახელმწიფოსათვის ახალი კონსტიტუცია.

ბევრ გულუბრყვილოთ დაებადათ ილუზიები. უმთავრესად დასაცლეთში, რომლებიც ფიქრობდნენ საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციას. ჰელინსკის დადგენილებების შემდეგ, მართლაც შეიძლებოდა ასეთი აზრები დაბადებოდათ მათ, რომლებიც უშუალოდ არ განიცდიან საბჭოების ცისტემის სუსსეს და არ იქნა ვერც გაერკვენ საბჭოთა ხელისუფლების ზრახვებსა და მიზენბში... არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, ყოველშემთხვევაში ჩვენთვის, ბუხლობრივი განხილვა კონსტიტუციის მუხლებისა, როცა ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ მას ის ბედი მოელის, რაც წინა, 1936 წლის კონსტიტუციას ჰქონდა.

ერთხელ და სამუდამოთ დადგენილად უნდა დავსახოთ, რომ საბჭოთა კონსტიტუციას ორი დანიშნულება აქვს: საგარეოდ მოაჩენოს მშრომელ მასებს — საბჭოთა კავშირი უფლებრივი სახელმწიფოა, ყოველგვარი დამოკრატიული ნორმები და უფლებები უზრუნველყოფილია.

შეგნით კი, თითეულ მოქალაქეს, თანდათან, დაუკარგოს სახელმწიფოს მიმართ აიმე მოთხოვნილების წარდგენის სურვილი. მოქალაქეც უცდის, და მოკლებულია ყოველგვარ აქტივობას... მაგრამ აյ გაკვრით აღვნიშნოთ, — მოსკოვს მოუვიდა ერთი დიდი მარცხი და მისი შედეგი კრძელდება.

გამოჩნენ ე. წ. „დისიდანტები“ რომლებმაც წამოისროლეს ლოზუნგი: „განახორციელეთ თვით აქვენივე შექმნილი კონსტიტუცია!“, ამ ლოზუნგმა უდიდესი გამოხმაურება პოვა, როგორც შევნით, ისე გარედ.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ, უსათუოდ, იგრძნო, მიხედა უხერხულ მდგომარეობას, მის სერიოზულობას და შეუდგა ცენტრის გამაგრებას, ცენტრალურ ხელისუფლების განტრიკიცებას. პარტიულ ცენტრში მოისპო, ვარებნულად მაინც, აქნობამდე არსებული სახელმწიფო და სამხედრო უფლებები, — ისინი მოექცნენ, გაერთიანებულნი ერთი პირის ხელში.

კონსტიტუციის დაკვირვებით განხილვას მივყავართ ამ დასკვნამდე.

მკითხველისათვის შეიძლება საჭირო იყოს შეხსნება იმისი, რომ ის მუხლები, რომლებიც მცირე ერებს აღლება და სეპარაციის უფლებებს; ხალხს — სიტყვის, კრების, ირგანიზაციების უფლებებს და საერთოდ სამოქალაქო უფლებებს, რომლებიც სტალინის კონსტიტუციაში იყო განმეორებულია ბრეუნევის კონსტიტუციაშიც; ყველაფერი აღამიანისათვის, მისი ბეღნიერებისათვის, აღამიანის უფლებათა დაცვისათვის. მაგრამ, აღმიაღლეს თუ არა ხმა ამ უფლებათა დასაცავად საბჭოთა მოქალაქებმა, ფსიხიატრულში მიაბრძანეს.

სასამართლო თითქო დამოუკიდებელია, მაგრამ სანამ ამა თუ იმ მოქალაქის სქმე სასამართლომდე მივიღოდეს, მისი ბედი წინასწარ გადაწყვეტილია. გამოძიება ე. წ. პ.

კ. ბ. აგენტების ხლშია. სასამართლოც ხომ მისი მონა-მორ-
 ჩილია.

ლენინის მიერ შეთხულ დაბულებით, სახელმწიფოს
 განაგებს პროფესიონალური პოლიტიკოსები, რადგან
 სალხის არ შეუძლია მოუაროს საკუთარ ბედს. მთელი სის-
 ტემა მართველობის ამზედ არის აგებული. რეელ თუ ახალ
 კონსტიტუციაში, თითქმის, მთელი ძალაუფლება ეკუთვ-
 ვნის ქალაქის და სოფლის მშრომელთა მასებს. არსები-
 ლათ მათი უფლება ისახება წევიდან მოსულ ეკონომიურ
 თუ აღმინისტრატიულ ზომათა შესრულებაში.

დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების დაცენტრალი-
 ზაცია თანადათან უმჯობესდება; ქახელმწიფოს შემადგე-
 ნელ ნაწილებს ეძლევათ ფართე უფლებები აღგილობრივ
 ეკონომიურ და აღმინისტრატიულ საქმიანობაში, რასაკ-
 ვირელია, შეფარდებული იმ ეკონომიურ პოლიტიკისთვის,
 რომელსაც იმტუავებს ერის ნებაყოფლობის გამომხატვე-
 ლი პარლამენტი.

საბჭოეთში პირიქით, ცენტრი ბრძანებლობს, აღგილობ-
 რივი საბჭოების ვალია, მაღლიდან ინსტრუქციების ასრუ-
 ლება. ახალ კონსტიტუციაში ეს მორჩილება კანონით გაძ-
 ლიერებულია.
 ახალმა კონსტიტუციამ, კავშირში შემავალ ერთა უფლე-
 ბები კიდევ უფრო შეკვეცა; მათი ეკონომიური და პოლი-
 ტიკური ცხოვრება ცენტრს უფრო მჭიდროდ დაუქავშირა.
 ორი პალატა, ხალხთა და ეროვნებათა ერთნარად უფლე-
 ბაყრილნი არიან და სუვერენობას მოკლებულნი.

ასეთივე ფარისევლურია ახალი კონსტიტუციაც, და
 როგორ შეუძლია მოსკოვს სხვა ენით ილაპარაკოს, როცა
 იგი აზია - აფრიკის ქვეყნების, და საზოგადოთ მცირე
 ერების თავისუფლების დამცველად გამოდის.

მისცა რაიმე განსაკუთრებული უფლება ახალმა კონს-
 ტიტუციამ აღგილობრივ რესპუბლიკების მთავრობებს?

ერთადერთი, — იყვნენ უფრო ერთგულნი მოსკოვიდან
 მიღებული გეგმების შესრულებაში.

დიართატურის სამოცი შეღი

საბჭოთა დიქტატურამ, თავის 60 წლისთვის იდლესას-წაულა. ამჟმავდა მთელი სახელმწიფოს აპარატი, საბჭოთა პრესა, რათა ამტკიცონ, რომ დამყარებულია საბჭოთაში აღამიანის სრული ბედნიერება; მოსპობილია მათი ექსპლოატაცია და რასაც პირდებოდა ოქტომბერი, ლენინის პირით ხალხს მიღწეულია; იდეალური, უკლასო საზოგადოება შექმნილია.

სამოცი წლის მანძილზე კი, — წარმოიშვა ახალი სოციალური სინამდვილე; წარმოიშვენ პრივილეგიურ მდგრადრეობაში შეცურებულნი, ათასგვარი მედლებით და საპატიო წოდებებით. ერთის მხრივ არისტოკრატია, განუსაზღვრელ უფლებებით აღჭურვილნი, მეორეს მხრივ მშრომელთა ფართე მასები, უფლებააყრილნი, სახელმწიფოზე დამოკიდებულნი. მოხდა, არა შრომის განთავისუფლება, არამედ მისი გაყველეფის გაძლიერება, ახალი ფორმით, ახალი შინაარსით. — სახელმწიფოზე დამოკიდებული მუშა უფრო მეტად დაჩაგრულია, ვინემ კერძო მეპატრონესთან, რადგან პირველთან ბრძოლა ძნელია.

სახელმწოდო პატრონისაგან, მუშა ორმაგად დამონებულია; ის დამტულია „მუცლით და კისრით“. — როგორც ამბობდა საფრანგეთის დიდი ტრიბუნი ქორესი.

ამ მესამოცე წლისთავზე, აბა ამოილის ენა მუშამ, მას „ფინიატრულში“ უკრავენ თავს. არ არის მართალი? გადაიკითხეთ რუსეთიდან მოსული ცნობები და ამაში დარწმუნდებით.

„მიწა მიწის მუშას“, გადმოსროლილი იქნა ლოზენგი: შეყარეს გლეხობა კოლხოზებში. — შედეგი ის არის, რომ გლეხმა დაჰკარგა ყოველიგვარი სურვილი შრომისა, როცა მცინაოფლარი სახელმწიფოს ბიუროკრატიის გამოკვებას უნდება, და მას ნამცეცები ძლიერს რჩებას.

ამიტომ გლეხობამ კოლექტივიზაცია არ მიიღო და ასიათასობით შეეწირა მის გატარებას. ცნობილია სტალინის განცხადება: „კოლექტივიზაციისათვის ბრძოლა ჩვენთვის უფრო ძნელი იყო ვინემ ბრძოლა ნაცისტურ გერმანიას-თან“. ცხადია, ასეთი ზომებით, გლეხობაში არამც თუ არ

შენელებულა, პირიქით, გაიზარდა სურვილი მიწის საკუთრებისა და თავისიუფალი ინიციატივის მოპოებისა... .

სამოლამ შედეგი ჩვენს თვალწინ არის: მოსკოვის სასურსათო მაღაზიების წინ, რიგში დგას ხალხი ერთი კილო კართოფილის მისაღებად. ხორცეულობა სანატრელი ხდება, ასეთია უტყუარი ცნობები. ხორცლეულობა ხომ დასავლეთის ქვეყნებიდან შემოაქვს მოსკოვს. რაკეტების გაშვებით, თუ სამხედრო იარაღების დამზადებით, განა მოძდა საბჭოთა მუშის და გლეხის გაბედნიერება' მათ წარმეული აქვთ ელემენტარული უფლება თავიანთი პროფესიონალური ინტერესების დაცვისა... .

60 წლის მანძილზე რამდენი რეფორმები ჩატარდა, რამდენი გეგმები შემუშავდა საბჭოთა მთავრობისა, ხოლო სასოფლო სამეურნეო პოლიტიკამ ვერ მიაღწია ხალხისათვის სასურველ და სასარგებლო შედეგებს. თავისი ცენტრალისტური მეთოდით და ადგილობრივი ბიუროკრატიული მუხრუჭით ისე ბოჭავს სოფლის მეურნეობას, რომ ნაყოფიერება მინიმუმამდეა დასული. რასაკვირველია უზარმაზარ იმპერიას იმდენი შემოსავალი კი აქვს, რომ თავისი ერთგული ბიუროკრატია და ჯარი გამოკვებოს; საიდუმლო მაღაზიებით უზრუნველჰყოს ისინი სურსათ-სანოვაგით. ინდუსტრალიზაცია რსუსთში უსათუოდ ჩატარდა, — ამასაც არავითარი ბედნიერება ხალხისათვის არ მოუტანია, რადგან მთელი სახელმწიფო ბიუჯეტი ხმარდება სამხედრო ინდუსტრიას, ახალ-ახალი სამხედრო იარაღი მზადდება სასოფლო და მკვებავ ინდუსტრიის ხარჯზე... .

რა მისცა ოქტომბერმა მცირე ერებს?

ეროვნული მონაბა, რუსიფიკატორული პოლიტიკის ახალი შემპარავი სასკოლო მეთოდებით.

საბჭოთა კავშირში, რომლის ახალი კონსტიტუციაც, როგორც ძეველი აღიარებს ნაციონალურ ერთეულთა დამოუკიდებლობის განსაზღვრულ უფლებებს, არსებითად, წარმოადგენს კომპარტიის ეროვნულ რეპრესიულ პოლიტიკის გატარებისათვის საშვალებას, რომლითაც თითეული ნაციონალური ერთეული დამოკიდებულია ცენტრისაგან ეკონომიურად და პოლიტიკურად.

ოქტომბერი დაპირდა მცხოვრებთ სიტყვის, კრების, ბეჭდვის, გაფიცვის თავისუფლებას. არაა საჭირო იმის შტკიცება თუ როგორ განახორციელდა დანაპირები. მართალია, მოსკოვმა ხელი მოაწერა ჰელსინსკში, რათ გაატარებდა ზოგიერთ ლიბერალურ ზომებს, არც ერთი დაპირება მას არ შეუსრულებია. მაგალითად მეორე ქვეყანაში მცხოვრებ ძმას, დას, ნათესავს ნახვის უფლება არა აქვს.

ლირს განა იმის გახსენება, რომ ოქტომბერი პირდებოდა ხალხს: ჯარის გაუქმებას. — მან შექმნა მრავალრიცხოვანი ჯარი; მისი მეშვეობით მოახდინა არაერთი იმპერიალისტური აქტი: დაიპურო კავკასიის და ბალტიის სახელმწიფონი, მოსპონ ჩეხოსლოვაკიის ახლად აღდგენილი დამოუკიდებელი რესპუბლიკა და სხვა.

აქცარა თავის მიღამოებიდან ყირიმის თათრები, ჩრდილოეთა კავკასიის პატარა ერი, ეხლა ვტყობილობთ ჩეენი ძმების მესხების ტრალედიას.

ლენინი პირდებოდა ხალხს: „პროლეტარიატის გამარჯვებით“ ისპობა სახელმწიფო; „უკლასო საზოგადოებაში სახელმწიფო უსარგებლოაო“. „

ზედმეტია განმეორება იმისი თუ როგორი პოლიტიკური ტოტალიტარული და მოქალაქის სულშემხუთველი რეჟიმი დამყარდა. იქნობამდე დაქვეითდა მორალურად, რომ ოდნავ მოწინააღმდეგე მოაზროვნეს კულაზე უკიდურეს. საშინელ სატანჯველში, — „ფიქირიტრულ საუკადყოფოში“ ათავსებს.

„მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ — გაისმოდა პირველ დღეებში. სინამდვილეში იგი გადაიქცა ერთ მუქაჭ დიქტატორთა უფლებად, ლენინ-სტალინის კარნახის ქვეშ.

დღეს, სრული უფლებით აღჭურვილი ბრეუნევი იგრძელებს ბატონობას იმპერიალისტურ-ტოტალიტარულ საბჭოებში.

საბჭოთა ორგანოების არჩევნები, ეს ხომ ხალხის სრული გმასხარავებაა; საგარეოდ გულუბრყვილოთა თვალის ასახვევად; შიგნით, ხალხის სახელით დიქტატორული მართველობის გასგრძელებლად.

როგორი საზოგადოება წარმოშვა ოქტომბერმა?

მეოცე საუკუნის დასაწყისში, სახელდობრ, 1885 წლიდან ვიღრე 1914 წლამდე, რუსეთის მრეწველობა აღწევდა განვითარების ისეთ დონეს, რომ ის პირველ ადგილს დაიკურდა ეკონომიკური მდგრადი გამორიცხული იყო მცხოვრებთა ის უდიდესი მსხვერპლი, რაც რუსის ხალხმა და დამორჩილებულმა ერებმა გაიღეს.

თებერვლის დემოკრატიული იდეების პრაქტიკულად ცხოვრებაში გადატანა, ამ ეკონომიკურ განვითარების საუკეთესო გარანტი იქნებოდა, რომ ოქტომბერს მის წინააღმდეგ შეთქმულება არ მოეწყო, რომლის შედეგად წარმოიშვა, დამკვიდრდა და გაძლიერდა კომუნისტური პრივილეგიური საზოგადოება; წარმოიშვა მესაკუთრეთა ახალი ფორმა, რომლის გამგებელი, პატრონი არის ეს ახალი წილება...

კერძოდ ჩევნმა ქვეყანამ თავიდანვე უარყო ოქტომბრის ექსპრიმენტები, — დღეს მას „გამარჯვებას“ ადლესასწაულობენ. ქართული ეროვნული თავისუფლების დაკარგვას, ძალადობით წართმევას, ქართველი ხალხის გამარჯვებად აცხადებენ. ოქტომბრის გამარჯვებამ მოსპონსართველოს სახელმწიფო, საქართველოს ეროვნული დროშა, რომელიც 22 ქვეყნის დედაქალაქში ფრიალებდა. დღეს მისი ხსენება არაა.

საბჭოთა საქართველოს თავის კონსტიტუცია აქვს, სადაც: — „საქართველოს საბჭოთა ციციალისტურ რესპუბლიკას აქვს უფლება უშუალოდ შევიდეს უცხო სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში; დადგვის მასთან ხელშეკრულება, მოახდინოს გაცვლა-გამოცვლა სრულუფლებიან ერჩების და საკონსულო წარმომადვენლების“—.

სხვა არა იყოს რა, ეს არის შეურაცხყოფა ერის! ითხევება კონსტიტუცია, არც ერთი მუხლი არ სრულდება და ერც შესრულდება, რადგან საქართველოს არავითარი უფლება არ გააჩნია, და მისი ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრება დამოკიდებულია მოსკოვზე. დღევანდელი საქართველოს საბჭოთა მთავრობა არ სარგებლობს არც საგარეო და არც საშინაო ასპარეზზე რაიმე უფლებით, ორთავე მოსკოვის ხელშია.

ოქტომბრის შეთქმულების შედეგ, უმთავრესად უკანასკნელ ომის შედეგ, 50-მდე ახალი სრულფლებიანი ერი წარმოიშვა; მარტო საფრანგეთმა გაანთავისუფლა ათამდე კოლონიალური ქვეყნები. ოქტომბრის შექმნილმა სახელმწიფომ კი დაიძყრო და თავის ბატონობის ქვეშ მოაქცია ცველა ვისაც მოერთა და დაიმორჩილა.

ოქტომბერმა არა თუ დაამყარა ხალხთა მეგობრობა შიგნით, პირიქით, გახანგრძლივი მოსკოვის ბატონობა ერგბზე. შულლი, მტრობა, უნდობლობა მატულობს. და განა თვით ცენტრი, მოსკოვი ნდობით ეპყრობა მის კავშირში მყოფს ერებს? უკანასკნელი ომის შედეგ, მოსკოვის მიერ მიცემული საჩუქარი, რომ სამხედრო ბეგარა ქართველმა საკუთარ სამშობლოში მოიხადოს, უკან წაიღო. განა მის, საბჭოთა კავშირის დაცვას არ შეეწირა ათასეულები ახალგაზრდა ქართველები?

რითდა შეუძლია იტრაბახოს ოქტომბერმა, როცა მუშამოსამსახურე ჩაუტმელ-დაუხურავია, სახელმწიფოსაგან მუშა გაყვლეფილია; სმოქალაქო უფლებები რეინის სალტებში შებოჭილია; სურსათ-სანოვაგე საძებარი. ეკონომიკური რეფორმების გატარება შეუძლებელია; ერები უკაუიფილო და დამონებულია; საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მონოლიტობა, რის მეთაურობას ჩემულობდა ოქტომბერი სრულიად დარღვეულია. მტაცებლობა, მექანიზმებია, მხეველობა გამეცებულია, რასაც არ მაღავს თვით საბჭოთა პრესა. ეს უკანასკნელი იმას მაღავს, რომ ახალგაზრდობა კომუნისტურ იდეოლოგიას ვაურბის.

საბჭოთა სახელმწიფომ, რომელიც ოქტომბრის შეთქმულების შედეგად შეიქმნა, მიაღწია ერთ დიდ შედეგს, თუ ამაშია საკაცობრიო იდეალი, — ქვეყნის მილიტარიზაციას.

ამნაირად, იქტომბრის შედეგად, როგორც რუსეთის, ისე მცირე ქვეყნების ხალხს სადღესასწაულო არაფერი აქვთ. ისინი მაშინ იდლესასწაულებენ, როცა შექმნილი უზარმაზარი იმპერია გადაშენდება და მის ადგილის აღმოცენდება თავისუფალი სახელმწიფონი.

გ. სინაურიძე

—[:]—

სახაროვის საერთაშორისო მოხსენება

გასული წლის 25—29 ნოემბერს, რომში შესდგა თვეურილობა „სახაროვის საერთაშორისო მოსმენა“—ს სახელწოდებით. დაქსწრენ მსოფლიოს მოწინავე საზოგადოების წარმომადგენელნი, საბჭოთა რუსეთიდან განდევნილნი „დისიდანტები“, აღმ. ევროპის პროტესტანტები, ვექილები, პოლიტიკური მოღვაწეები. დაქსწრენ აგრეთვე ჩვენი წარმომადგენელნი. ყრილობის დანიშნულება იყო მსოფლიოს წინაშე გამოეტანათ აღმოსავლეთ ევროპის, საბჭოეთში წარმოებული ჯალათური მოპყრობა აღამიანისადმი. ჰელსინქში მიღებულ ვალდებულებათა სრული შეუსრულებლობა.

ჩვენ აქ მოვყავს ის ნაწილი, რომელიც ეხება ქართველების : გამსახურდია—კოსტავას საქმეს.
 (ამოღებულია ქ-ნ გულნარა ურატაძის რეპორტაჟიდან).

... ერთი საათის დასვენების შემდეგ, სახაროვის მოსენების მოსმენის სხდომა გადვიდა ჩვენი თანამემამულეების ზეიად გამსახურდისა და მერაბ კოსტავას საქმის გახილვაზე.

სიტყვებით გამოეიდენ გამსახურდისა და კოსტავას ფრანგი ადვოკატები, რომლებმაც მოსმენის დამსწრეებს გააცნეს ზეიად გამსახურდისა და მერაბ კოსტავას ვინაობა და ონიშნეს, რომ მათ, გამსახურდია—კოსტავას დაცვას ხელი მოჰკიდეს ზეიად გამსახურდის ოჯახობის, მანანას თხოვნით და რომ, უკვე თხოვნით მიმართენ საბჭოთა ხელისუფლებას ნება დართონ ქართველ დისიდენტების დასაცავად.

ფრანგმა ვექილებმა განაცხადეს, რომ მსოფლიო საჭირო გადოებრიობა კარგა იცნობს შარისნებისა და ორლოვს, ხოლო ნაკლებად არიან ცნობილნი ზეიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, და მოუწოდეს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, ხელი შეუწყონ ამ პირების პოპულარიზაციას და საკმაო მხარდაჭერა აღმოუჩინოს მათ. ფრანგმა ვექილებმა აღნიშნეს რა, რომ გამსახურდისა და კოსტავას ჯერ კიდევ არა აქვთ წაყენებული კონკრეტიული ბრალდება, თქვეს, რომ ეს ორი ქართველი თავისუფლად მოაზროვნე პირი, ამ ორი კვირის წინ მოთავსებული იქნა სერბსკის

სახელობის სპეციალურ ფსიქიატრულ საავადმყოფოში და რომ საჭიროა მათთვის ენერგიული დახმარების აღმოჩენა.

ფრანგმა ადვოკატებმა შემდეგ სიტყვა გადასცეს, მიმდინარე წელს დასავლეთში გადმოსულ ქართველ ექიმ-ფსიქიატრს, ავთანდილ პაპიაშვილს, რომელმაც ზეიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას საქმესთან დაკავშირებით ილაპარაკა ფსიქიატრის ბოროტად გამოყენებაზე საბჭოთა კავშირში და კერძოთ საქართველოში. პაპიაშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ფსიქიატრთა მსოფლიო ასოციაციის პონოლულს კონგრესმა დაჰგმო ფსიქიატრის ბოროტად გამოყენება საბჭოთა კავშირში. მიუხედავად ამისა — თქვა მან, ამ მხრივ მდგომარეობა არ შეცვლილა საბჭოთა კავშირში და უკანასკნელად, ფსიქიატრულ საავადმყოფოში მოთავსებული იქნენ ზეიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. პაპიაშვილის მოწმობამ დიდი ონტერესი გამოიწვია სახაროვის მოსმენის მონაწილეებში.

ექიმ-ფსიქიატრ ავთანდილ პაპიაშვილის შემდეგ, სხდომაზე სიტყვით გამოვიდა, საქართველოში ჰელსინსკის დებულებათა გატარების ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდობარე, საფრანგეთში დაბადებული და აღზრდილი ახალგაზრდა ქართველი ოთარ ზურაბიშვილი. ზურაბიშვილმა უმთავრესად ილაპარაკა ზეიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრების ვითარებაზე, მათ ამეამინდელ მდგომარეობაზე და დახმარებისაკენ მოუწოდა მსოფლიო საზოგადოებრიობას. შემდეგ, ოთარ ზურაბიშვილმა სხდომაზე წაიკითხა დეპეშის ტექსტი, რომელიც, ჯგუფის სახელით მან გაუგზვნა, საბჭოთა კომპარტიის მეთაურ ბრეუნევს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. დაპეშაში ნათქვამია, რომ ზეიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დაპატიმრებამ აღშფოთება გამოიწვია დასავლეთში და მოუწოდებს ბრეუნევს, მათი დაცვის უფლება მისცეს ფრანგ ევქილებს. ოთარ ზურაბიშვილის სიტყვამ მქუხარე ტაშ გამოიწვია სხდომის დაბაზში.

ამის შემდეგ, „სახაროვის მოსმენის“ თავმჯდომარემ, პ-ნ ვიზენტალმა „სახაროვის საერთაშორისო მოსმენა“ დახურულად გამოაცხადა.

ს. დ. პ ა რ ტ ი ა შ ი

საქართველოს ს. დ. პარტიის საზღვარგარეთელი პიური გაეცნო უურნალ „თავისუფლების ტრიბუნაში,, (№ 18) დაბეჭდილ გ. წერეთლის წერილს.

მოვაკონებთ მკითხველს, რომ მიუნხენის რადიოს ქართული რედაქტორიდან, ბ-ნ ალ. ლორიამ გააკეთა ლირ-სცული რადიოგადაცემა დამოუკიდებელ საქართველოს პრეზიდენტის ნოე ე ო რ დ ა ნ ი ა ს გარდაცვალების 25 წლისთვეზე. ეს არ მოსწონებია „თავისუფლების ტრიბუნას“ რედაქტორს, ბ-ნ გ წერეთელს, რომელიც სთვლის მას “ცუდ” გადაცემათ, რაღვან მისი აზრით, ნ. უორდანის ისტორიული როლი, დამოუკიდებლობის გაძლიერების საქმეში გადაჭარბებულად მიუჩნევია.

ბ-ნ ალ. ლორიამ და ლევ. ფალავამ გასცეს დასაბუთებული პასუხი „თავისუფლების ტრიბუნას“ რედაქტორს ბ-ნ გ. წერეთელს, რომელიც უურნალის უკანასკნელ (№ 19-ში) თავს ესხმის ლ. ფალავას და მისი პასუხის კრიტიკულად განხილვის მაგიერ, უმასპინძლდება ყოვლად მიუღებელ და შეუფერებელ სიტყვებით.

ბიუროს დაუშვებლად მიაჩნია ასეთი სიტყვების შემოტანა ქართულ პრესაში. რასაც შეუძლია მხოლოდ ქართველთა რიგებში არევდარევა შეიტანოს.

ბიურო თანაგრძნობას უცხადებს თავის წეერს ლევან ფალავას.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა უურნალი „კაფასიონი“, რომელიც არის გაერთიანებული ეროვნული ემიგრაციის თავისუფალი სიტყვა. . .

საჭიროებს ოქვენს მორალურ და ნივთიერ დახმარებას.

დასაბეჭდი მასალები და შემოწირულება უნდა გადმოიგზავნოს შემდეგ მისამართზე:

M. KIPIANI, 11, rue Villedo - 75001 Paris

თ ვ ი თ გ ა მ ო ც ე ბ ა

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, თბილისში დაუპატიმრებიათ, ჰელსინქის დადგენილებათა დამცელი ჯგუფის აქტიური ხელმძღვანელი, ისტორიკოსი ვლ. რცხილარი. აქ მკითხველს ვაწვდით „თვითგამოცემიდან“ № 3 / 16-დან ამოღებულ, ზოგიერთ ცნობებს მის შესახებ.

„გასულ წლის 9 მარტს, სამსახურიდან დათხოვნილ იქნა ისტორიკოსი ვ. რცხილარი, რომელიც ისტორიულ-კულტურის ძეგლთა დამცელ ინსპექციის უფროსად ითვლებოდა ამ თანამდებობაზე მას საშუალება ჰქონდა თვალყური ედევნებია, თუ როგორ სრულდებოდა ძეგლთა დაცვა. ვ. რცხილარმა არა ერთჯერ ამხილა ზოგიერთ მოხელეთა დაუდევრობა. 1967 წელში მან და დავით-გარეჯის ბუზეუმის დირექტორმა ბაცაცაშვილმა საჩივარი გაუგზავნეს საბჭოთა პროკურორს რუდენკოს, რომ ამიერ-კავკასიის არტილერისტებმა, ვარჯიშობის დროს, მხეცურად გაანადგურეს ერთერთი ქრისტიანობის წინანდელი, უნიკალური ძეგლი, მოითხოვდნენ მათ დასჯას, თანახმად კანონისა

გადასახლებულ მესხების საქართველოში დასაბრუნებლად ვ. რცხილარმა გასწია დიდი შრომა.

როცა ორლოვის ბინა გაჩერიკეს „კაეგბისტებმა“, ნახეს ვ. რცხილაძის გადაცემული, რვათას მესხის ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც მოითხოვდნენ საქართველოში დაბრუნებას. ეს დოკუმენტი საფუძვლად დაედო, ჰელსინკის დადგენილებათა დამცელ მოსკოვის ჯგუფის მოღვაწეობას.

როცა ქართული თვითგამცემა გამოვიდა, შიგ მოთავსებული იყო ვ. რცხილაძის ვრცელი წერილი მესხების ტრადიციის შესახებ ასეთი სათაურით: „დანაშაულობა საქართველოს მიმართ“. არ გასულა 10 დღე. დაიწყეს სამსახურში რცხილაძის შევიწროება; არაერთხელ პოვოკაციაზე გამოიწვიეს მოგზავნილმა პირებმა. ერთ დღეს გამოუტადეს დისკიპლინის დარღვევა და გათრთხილება მისცეს, რაც იძლენად უსაფუძვლო გამოდგა, რომ სამინისტრომ გააუქმია იგი. გავიდა რამოდენიმე დღე, ის სრულიად მოხსნეს თანამდებობიდან, რაც ეწინააღმდეგება მუშათა კანონმ-

შთავრობისაგან უდანაშაულოდ დასჯილ მუშებს და ბრძოლა სამოქალაქო უფლებების მოსაპოებლად. გამოდის კომიტეტის ბიულეტინი, რომელშიც მხილებულია თითეული ფაქტი რეპრესიული ზომებისა. ბიულეტინი ვრცელდება რაღიაში, გდანსკში, ლოდზში, ლუბლინში, პლოცკში, შტეტინში, პოზნანში, კრაკოვში, ვარშავაში და სხვა ქალაქებში. აღწერილია უკანონო მოქმედება ხელისუფლებისა: ფსიქიატრულ საავადმყოფოებში ჩაკეტვა, შანტაჟი, პასპორტების ჩამორთვევა, თვედასხმა, ფუმა, დატყვევება სრულიად უდანაშაულოთა და სხვ.

გახშირდა „თვეითგამოცემები“, რომელშიაც დაბეჭდილია მიმართვები ხელისუფლებისადმი, ბელგრადის ყრილობისადმი. კერძოდ, რომელიმე მოქალაქისადმი ულირსი მოპყრობა, უდანაშაულოდ სამსახურდან დათხოვნა. თითეულ საჩივარს მიმართვას ხელს აწერს ავტორი თავის მისამართით, რაც ნიშნავს იმას, რომ არავინ უშინდება რეპრესიებს; ბრძოლა გამოცხადებულია ხალხსა და ხელისუფლებას შორის.

ყოფილი მინისტრი ბენკოვსკი, რომელიც გამორიცხული იქმნა პარტიიდან, გამოვიდა სასტიკი კრიტიკით, რომელიც აშხელს ადმინისტრაციის მიერ მოქალაქეთა ფიზიკურ და მორალურ წვალებას, რასაც იგი აცნობს უცხოურნალისტებს

მუშათა კომიტეტი სასტიკ კრიტიკას უკეთებს პროფესიონერების მოქმედებას, რომლებიც გახდნენ მთავრობის ორგანოები და სრულებით არ იცავენ მუშათა ინტერესებს. აგრეთვე მთავრობას უყენებენ მოთხოვნილებას, შესარტულოს თავისივე დაწერილი კანონები. აქვე აღნიშნულია თუ როგორი, ყოვლად ულირსი, არა ადამიანური ზომებით ცდილობენ დეზორგანიზაცია შეიტანონ მუშათა რიგებში. როცა ვერ აღწევენ მიზანს, მიმართავენ შეთხულ, გამოგონილ ბრალდებებს და სხვ.

დაწყებული მოძრაობის შეჩერება შეუძლებლია, ხალხსა და ხელისუფლებას შორის ხიდი ჩატეხილია.

კომიტეტი, რომელიც მოქმედებს და მოძრაობს, სრულებით არ იყვებება ილიუზიებით, არც მთავრობის ცარიელი დაპირებებით, არამედ მოქმედებს სიმართლის და სამართლიანობის ფარგლებში, ის აერთიანებს მუშებსა და ინტელიგენციას.

მის მოღვაწეობას აქვს რეალური პოლიტიკური და ეროვნული პერსპექტივები...

პოლონეთი, როგორც ჩანს მხურვალედ ეხმაურება, რუსეთში დაწყებულ მოძრაობას. უკანასკნელ ცნობებით, იქ დაარსებულია „დემოკრატიული მოძრაობის ასოციაცია“ რომლის მიზანია, აღადგინოს პოლონეთის სრული სუვერენობა. გადაიყვანოს სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური სისტემა დემოკრატიულ-ლიბერალურ რელსებზე. ასოციაცია, ჯერჯერობით ითვლის ასათას წევრს. ასოციაციამ გამოუშვა ფართო მოწოდება პოლონეთის საზოგადოების მიმრთ. მოუწოდებს მას წინ ალუდგეს აღმინსტრატიულ — პოლიციურ თავაშვებულებას, უკანონობას... და შექმნას ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დამცველი ორგანოები.

დემოკრატიულ მოძრაობას პოლონეთში აქვს დიდი პერსპექტივები, რასაც ჩვენ კვლავ დაუუბრუნდებით.

პოლონელი.



გ ა ღ ლ ო ბ ა

ღიდ გადლობას მოვახსენებ ზველა გათ რომლებმაც ნივთიერი დახმარება გამიჯინს ჩიმი პრეზიდენტ „იმედი და რწმენა“-ს გამოსაცემად“

3. სარჯველაძე.

შპირა ეკლესიის დღეობა პარიზში

წმიდა ნინოს ეკლესიის დღე გაიმართა 22 იანვარს, და-
ესწრო მრავალრიცხოვანი ქართველობა ბავშვებით.

სახელოვანი შეეცია საქართველოსადმი მეგობრულად
შუდამ იყო განწყობილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია
შევედების მიერ, საფრანგეთში მყოფ სამშობლოშართმეულ
ქართველების მიმართ გაწეული მათი თანაგრძნობა, მათი
ადამიანობა და გულუხვეობა.

ქართველმა მრევლმა, მამა ილიას მეთაურობით, ბავშ-
ვების საშობაო დასაჩუქრება დაუკავშირა, წმიდა ნინოს
დღესასწაულს და ბავშვებთან ერთად, მთელი ქართველო-
ბა შეიკრიბა შევედების მიერ მეგობრულად დათმობილ ეკ-
ლესიის დიდ დარბაზში.

აქ, ამ დღეს, ცველა ლოთისმორწუნეს და ქართ. ეკლესიის
მფარველს საშუალება ეძლევა ამ კულტურული კერის
განმტკიცებაში მონაწილეობა მიიღოს. და არ არის პა-
რიზისა და მის მიდამოებში ქართველი, თუ დიდი საპატიო
მიზეზი არ აქვს, ამ დღეს არ დაესწროს. ყველასი გულითა-
დი სურვილია გაუმართოს დიდი ღვაწლი მოძღვარ
ილიას, რომელიც წმინდა გულითაა მოწალინებული ამ
ქართული ეკლესიის არსებობისათვის.

დღესასწაული გახსნა მოძღვარმა ილიამ დიდად გრძნო-
ბიერ და მჭერმეტყველ ქადაგება-სიტყვით.

მამაოს შემდეგ მხურვალე სიტყვით გამოვიდა შევედების
ეკლესიის პასტორი მოლანდერ, საქართველოს დიდი მე-
გობარი, დიდად განათლებული და ცნობილი საერთაშო-
სო ეკუმენის მოძრაობაში; ყოფილი პირველი მდივანი
ახალგაზრდობის საკულესიო მოძრაობის, საერთაშორისო
საბჭოსი უენევაში.

ორივე მოძღვარმა დალოცეს ქართველი ერი, და ანუ-
გეშეს დამსწრენი.

დასაჩუქრებულმა ბავშვებმა თვითონ, როგორც შესძ-
ლეს ისე გამართეს ლხინი; იმღერა ახალგაზრდების გუნ-
დმა რაშაც საზოგადოება გაართო და ნასიანოენები დაიშა-
ლა.

ბსიდორი მანჯკაპას ხეზტის გადმოსვენება

3 ივნის 1977 წელს, გერმანიიდან გადმოსვენებული და ლასაფლავებული იქმნა ლევილის ძმათა სასაფლაოზე ლირსეული ქართველი მამულიშვილის, დიდათ ნიჭიერი ეროვნული მებრძოლი პუბლიცისტის ისიდორე მანჯკაპას ნეშტი.

განსვენებული იყო დიდათ პატივცემული წევრი ქართულ სათვისტომოსი. ერთერთი დამაარსებელთავანი უურნალ „კავკასიონი“-სა; ავტორი: — „ნარკევი მეცნამეტე საუკუნის საზოგადოებრივი აზრის განვითარების“-ა და მრავალ სხვა ნაშრომებისა.

ოცდათ მეტზე წლის შემდეგ, აწევანსვენებული მარიამ ლოლობერძის და აკაკი შავგულიძის თაოსნობით მათ მიერ მატერიალური საშუალებების გაღებით და უველა აღმინისტრატიული სიძნელეების დაძლევის შემდეგ გერმანიიდან ლევილის სასაფლაოზე გადმოსვენებული იქმნა ამ ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნეშტი.

საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ მწერალთა და უურნალისტთა საზოგადოების სახელით სიტყვა წარმოსოჭვა ბ-ნმა გიორგი ყიფიანმა.

15 ოებერვალს 1978 წელს, მიიცვალა ჩვენი სათვისტომოს დიდათ ლირსეული ადამიანი,

მარიამ ლოლობერძი

განსვენებული დიდი მოამაგე იყო ყველა საზოგადოებრივ საქმის. მრავალ წლობით, ჩვენ სათვისტომოს აკარგის მოზიარე, ჩვენი ახალგაზრდობის მკაცრი აღმზრდელი და მოამაგე; ჩვენი მანუგეშე და დამხმარე გაჭირვებაში. და ჩვენთან ერთად ჩვენი სიხარულის გულწრფელი გამზიარებელი.

„ჩვენი დროშა-ს რედაქცია იზიარებს მის მეგობართა მწუხარებას..“

იორებ გოგოლაშვილი

„ჩვენი დროშა“-ს რედაქცია მწუხარებით გაუწყებო, რომ 4 თებერვალს 1978 წელს, 93 წლის ასაკში გარდაიცვალა იორებ გოგოლაშვილი.

სოციალ-ფედერალისტების პარტიის თვალსაჩინო წევრი იორები დიდად ცნობილი პიროვნება იყო იქ საქართველოში, და განსაკუთრებით, უცხოეთში მყოფ ქართველთა შორის, როგორც ენერგიული, თავდადებული პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე.

წლების განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა ქართულ „ოფისს“ და დაუზარებლად ეხმარებოდა ვადმოხვეწილ ქართველობას საფრანგეთის აღმინისტრაციის წინაშე.

დაკრძალული იქმნა, მისი ოჯახის აკლდამაში, ქ. ეშერლე - მარშე-ს სასაფლაოზე.

„ჩვენი დროშის“ რედაქცია მხურვალე თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს და სოც.-ფედერალისტების პარტიას.

„ჩვენი დროშა“-ს რედაქცია მწუხარებით აუწყებს ქართველობას რომ 7 იანვარს 1978 წელს გარდაიცვალა

გოგოლი ლინდომ — მამულაშვილისა

ჩვენი ეკლესიის უერთვულესი მსახურის, ლირსეული ქართველის, ბ-ნ ნ. მამულაშვილის მეუღლე.

განსვენებული იყო ფრიად განათლებული ადამიანი. ეროვნებით შევდი, დიდი მეგობარი იყო ქართველების. და მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველ ლტოლევილთა წინაშე; მან გააცნო და დააინტერესა პარიზელი შვედები ქართველ ლტოლევილთა საკითხით, მოუპოვა მათი თანაგრძნობა და დახმარბა.

მისი ფერფლი დასვენებულია ლევილის სასაფლაოზე. მხურვალე თანაგრძნობა მის პატივცემულ ოჯახს.

8 იანვარს 1978 წელს გარდაიცვალა და 17 იანვარს დაასაფლვეს ლევილის სასაფლაოზე სალომე (მია), მეედერ — ქავთარაძისა. ჩენი მეგობრის მიხეილ ქავთარაძის, მეუღლე, დიდად პატივსაცემი ადამიანი.

ჩვენი მხურვალე თანაგრძნობა მის პატივცემულ ოჯახს.

1 ໄດ້ກົມທີ່ຢູ່ຮ່ວມມືນ 1977 ຜູ້ລົ້າ, ໂສພານຸ່ງທີ່ມີ ການຄ່າເປົ້າລາ
 ປົນບົດໃລ້ ສາຫຼອງກາລົມ ມອລງວັດຖຸ, ແລ້ວ ຕໍ່ກ່ຽວຂ້ອງກ່ຽວຂ້ອງ ແລ້ວ
 ຈົດລົມມົມຈົມເຊີ້ນ ດ້ວຍເກົ່າໂສລົມ ອົບເກົ່າ ດ້ວຍເກົ່າ.

20 ມີນາທີ່ 1977 ຜູ້. ຕໍ່ກ່ຽວຂ້ອງກ່ຽວຂ້ອງ ການຄ່າເປົ້າລາ ມີເທິງ
 (ມີທີ່) ຖືກ ພົມກົມ — ກະທຳເລີ້ນ.

17 ອິງລົມສັບ 1977 ຜູ້ລົ້າ ການຄ່າເປົ້າລາ, ວຳລາຍະດີ
 ກວາກົມເຕີກົມເຊີ້ນ ຕໍ່ກ່ຽວຂ້ອງກ່ຽວຂ້ອງ ຕໍ່ກ່ຽວຂ້ອງ ສ. ດ. ວິກ
 ດັບຕະຫຼາມຫຼາຍ

16 ອິງລົມສັບ 1977 ຜູ້ລົ້າ, ອົບເກົ່າ ການຄ່າເປົ້າລາ
 ຮາຍາເລີ້ນ (ຮາຍອນ) ເຮັດວຽກ.

5 ອົງທົມທີ່ຢູ່ຮ່ວມມືນ 1977 ຜູ້ລົ້າ, ອົບເກົ່າ ການຄ່າເປົ້າລາ
 ວິກເຕີກົມເຊີ້ນ, (ກາຕົກ), ແລ້ວ ເຊັ່ນ ພົມກົມ.

15 ອົງທົມທີ່ຢູ່ຮ່ວມມືນ 1977 ຜູ້ລົ້າ, ຕໍ່ກ່ຽວຂ້ອງກ່ຽວຂ້ອງ
 ຕ້ອນຮັນໂຄງ ແລ້ວ.

19 ອົງທົມທີ່ຢູ່ຮ່ວມມືນ 1977 ຜູ້ລົ້າ, ຕໍ່ກ່ຽວຂ້ອງກ່ຽວຂ້ອງ
 ມີເທິງ (ມີທີ່) ແລ້ວ.

22 ນົມທີ່ຢູ່ຮ່ວມມືນ 1977 ຜູ້ລົ້າ, ຕໍ່ກ່ຽວຂ້ອງກ່ຽວຂ້ອງ
 ມີເທິງ (ມີທີ່) ສົງເກົ່າ.

13 ໄດ້ກົມທີ່ຢູ່ຮ່ວມມືນ 1977 ຜູ້ລົ້າ ຕໍ່ກ່ຽວຂ້ອງກ່ຽວຂ້ອງ
 ລົມກົມ ມີເທິງ.

5 ພົມກົມ 1978 ຜູ້ລົ້າ, ແລ້ວ ສົງເກົ່າ ສົງເກົ່າ ສົງເກົ່າ
 ການຄ່າເປົ້າລາ ລົມກົມ.

ສ້າງນັດໃນ ຊ ນ ດ ອ

ກ. ອົບເກົ່າ — 400 ຜູ້. ວ. ປຶ້ມ ເລີ້ນ — 100 ຜູ້.
 ຂ. ບົດລົມກົມ — 100 ຜູ້. ຊ. ອົບເກົ່າ ສົງເກົ່າ — 100 ຜູ້.
 ກ. ດົມລົມກົມ — 100 ຜູ້. ດ. ດົມລົມກົມ — 100 ຜູ້.
 ດ. ກວາກົມເຊີ້ນ — 100. ສອມສັບ ສາຫຼອງກາລົມ — 200 ຜູ້.
 ບ. ກວາກົມເຊີ້ນ — 50 ຜູ້. ມ. ດົມລົມກົມ — 50 ຜູ້.
 ລ. ຜູ້ລົມກົມ — 50 ຜູ້. ຊ. ສາຫຼອງກາລົມ — 50 ຜູ້.
 ດົມລົມກົມ — 50 ຜູ້.

Gérant : Pr. Intskirvefi.

Hors commerce

Imprimerie Coopérative Arpajonaise